

სსიპ საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის

2024 წლის ანგარიში

სარჩევი

სამსახურის მიზნები და ამოცანები,
საქმიანობის ძირითადი მიმართულებები *3*

სტატისტიკური მონაცემები *4*

ტიპოლოგია *10*

ადგილობრივი და საერთაშორისო თანამშრომლობა *11*

ნორმატიულ-სამართლებრივი ბაზა *13*

ტრენინგები და სემინარები *14*

სამსახურის მიზნები და ამოცანები, საქმიანობის ძირითადი მიმართულებები

სსიპ საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახური, როგორც ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების პრევენციის ორგანო, ფუნქციონირებს 2004 წლიდან და თავისი საქმიანობისას ხელმძღვანელობს „ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონით, სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით. დანაშაულებრივი ფაქტების გამოვლენისა და მათი პრევენციის მიზნით, საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახური, კანონმდებლობით განსაზღვრული ანგარიშვალდებული პირებისგან იღებს ინფორმაციას საეჭვო და სხვა გარიგებების შესახებ, აანალიზებს მას და შესაბამისი დასაბუთებული ვარაუდის არსებობის შემთხვევაში, რომ გარიგება საეჭვოა და ხორციელდება ფულის გათეთრების ან ტერორიზმის დაფინანსების ან/და სხვა პრედიკატიული დანაშაულის ჩადენის მიზნით, დაუყოვნებლივ, სხვა ორგანოსგან ან პირისგან ნებართვის მიღების გარეშე, გადასცემს ამ ინფორმაციას და მის ხელთ არსებულ სათანადო მასალებს სამართალდამცავ ორგანოებს.

სსიპ საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის მიზნები და ფუნქციები, მისი სტრუქტურა განსაზღვრულია საქართველოს მთავრობის 2019 წლის 26 დეკემბრის №658 დადგენილებით დამტკიცებული “საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის დებულებით”. საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის სტრუქტურა 2024 წლის განმავლობაში შემდეგნაირი იყო:



2024 წლის მოქმედი სამსახურის საშტატო ნუსხა და თანამშრომელთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობა დამტკიცებულია საქართველოს პრემიერ-მინისტრის 2024 წლის 29 თებერვლის №96 ბრძანებით. აღნიშნული აქტის საფუძველზე საშტატო ნუსხით გათვალისწინებულია 27 საშტატო ერთეული.

სტატისტიკური მონაცემები

„ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად[1], ანგარიშვალდებულ პირებს წარმოადგენენ:

ფინანსური ინსტიტუტები: არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულება – საკრედიტო კავშირი; არასახელმწიფო საპენსიო სქემის დამფუძნებელი; სადაზღვევო ბროკერი, ვალუტის გადამცვლელი პუნქტი; კომერციული ბანკი; მიკროსაფინანსო ორგანიზაცია; საბროკერო კომპანია; საგადახდო მომსახურების პროვაიდერი; სადაზღვევო ორგანიზაცია; სალიზინგო კომპანია; სესხის გამცემი სუბიექტი; ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორი; საინვესტიციო კომპანია, რომელსაც დანიშნული არ ჰყავს აქტივების მმართველი კომპანია; ვირტუალური აქტივის მომსახურების პროვაიდერი; მიკრობანკი; აქტივების მმართველი კომპანია; საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ლიცენზირებული ცენტრალური დეპოზიტარი.

არაფინანსური ინსტიტუტები: ადვოკატი, საადვოკატო ბიურო; ლატარიის ორგანიზატორი, აზარტული ან მომგებიანი თამაშობის ორგანიზატორი; ნოტარიუსი; სერტიფიცირებული ბუღალტერი, პროფესიული მომსახურების გამწევი ბუღალტერი, საბუღალტრო ფირმა; აუდიტორი, აუდიტორული (აუდიტური) ფირმა; ძვირფასი ქვებით ან ლითონებით ვაჭრობის განმახორციელებელი პირი; სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო და სსიპ შემოსავლების სამსახური.

„ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, ანგარიშვალდებული პირები ვალდებულნი არიან საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურს წარუდგინონ ანგარიშგება საეჭვო გარიგების ან ასეთი გარიგების მომზადების, დადების ან შესრულების მცდელობის შესახებ. საეჭვო გარიგებების გარდა, კანონის მიხედვით, საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახური კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით განსაზღვრავს გარიგებათა სახეობებს, რომელთა შესახებ ანგარიშგება ანგარიშვალდებულმა პირმა სამსახურს უნდა წარუდგინოს[2].


[1] „ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონის მუხლი 3 (30.05.2024 ცვლილების გათვალისწინებით)

[2] „ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონის მუხლი 25, პუნქტი 2.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, 2024 წლის მანძილზე სამსახურში შემოსული ინფორმაციის სტატისტიკური მონაცემები შემდეგნაირად გამოიყურება:


ანგარიშვალდებული პირები	ანგარიშგების ფორმების საერთო რაოდენობა	მათ შორის ზღვარს ზემოთ	მათ შორის საეჭვო	მათ შორის ტერორიზმის დაფინანსება
კომერციული ბანკი	218128	216462	1666	6
მიკროსაფინანსო ორგანიზაცია	16948	16905	43	1
სადაზღვევო ორგანიზაცია	1	0	1	0
საბროკერო კომპანია	34	32	2	0
ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორი	2	0	2	0
ვალუტის გადამცვლელი პუნქტი	15076	15074	2	1
საგადახდო მომსახურების პროვაიდერი	2524	2470	54	1
სესხის გამცემი სუბიექტი	1	0	1	0
მიკრობანკი	21	20	1	0
ვირტუალური აქტივის მომსახურების პროვაიდერი	96	3	93	0
ლატარიის ორგანიზატორი, აზარტული ან მომგებიანი თამაშობის ორგანიზატორი	7700	7690	10	0
სამორინე	13307	13307	0	0
საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო	1120	945	175	0
შემოსავლების სამსახური	11023	11023	0	0
სულ	**285981**	**283931**	**2050**	**9**

გრაფიკულად 2024 წლის მანძილზე სამსახურის მიერ მიღებული ანგარიშგებების ფორმების რაოდენობა შემდეგნაირად გამოიყურება:




შესაბამისად, სტატისტიკური მონაცემების სისტემატიზაციის შედეგად ფინანსური (მათ შორის, კომერციული ბანკებიდან) და არაფინანსური ინსტიტუტებიდან 2024 წელს მიღებული ანგარიშგებების რაოდენობის მაჩვენებლები შემდეგნაირად გამოიყურება:

საფინანსო სექტორიდან მიღებულ ანგარიშგებათა სტატისტიკური მონაცემები 2024წ



არასაფინანსო სექტორიდან მიღებულ ანგარიშგებათა სტატისტიკური მონაცემები 2024წ




თავის მხრივ, სამსახურში რეგისტრირებული, კანონმდებლობით განსაზღვრული ანგარიშვალდებული პირები, რომლებიც საქართველოს საფინანსო სექტორს წარმოადგენენ, 2024 წლის 31 დეკემბრისთვის მოიცავდა: 17 კომერციულ ბანკს, 1 საკრედიტო კავშირს, 31 მიკროსაფინანსო ორგანიზაციას, 20 სადაზღვევო ორგანიზაციას, 2 არასახელმწიფო საპენსიო სქემის დამფუძნებელს და 13 საბროკერო კომპანიას, 24 სადაზღვევო ბროკერს, 3 ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორს, 636 ვალუტის გადამცვლელ პუნქტს, 17 სალიზინგო კომპანიას, 34 საგადახდო მომსახურების პროვაიდერს, 104 სესხის გამცემ სუბიექტს, 3 საინვესტიციო კომპანიას, 1 მიკრობანკს, 7 აქტივების მმართველ კომპანიას და 17 ვირტუალური აქტივების მომსახურების პროვაიდერს.


კანონმდებლობით განსაზღვრული ანგარიშვალდებული პირები, რომლებიც საქართველოს არასაფინანსო სექტორს წარმოადგენენ და აღრიცხვაზე არიან საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურში, 2024 წლის 31 დეკემბრისთვის მოიცავდა: 363 ნოტარიუსს, 361 ლატარიის, აზარტული და მომგებიანი თამაშობების ორგანიზატორს, 32 აუდიტორს, 458 აუდიტორულ (აუდიტურ) ფირმას, 35 სამორინეს, საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს, შემოსავლების სამსახურს, 1 ადვოკატს, 3 საადვოკატო ბიუროს, 40 სერტიფიცირებულ ბუღალტერს, 46 პროფესიული მომსახურების გამწევ ბუღალტერს და 69 საბუღალტრო ფირმას.

2024 წელს მიღებული ანგარიშგების ფორმების ანალიზის და სამსახურის მიერ მოძიებული ან უცხოელი კოლეგებისგან მიღებული ინფორმაციის დამუშავების შედეგად, საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურმა გამოავლინა და „ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად საქართველოს პროკურატურის, შინაგან საქმეთა სამინისტროს, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურისა და შემოსავლების სამსახურის შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს გადასცა 79 საქმე (მათ შორის, 6 საქმე ტერორიზმის შესაძლო დაფინანსების სავარაუდო შემთხვევაზე და 6 საქმე სხვადასხვა ქვეყნის მიმართ დაწესებული სანქციების შესაძლო გვერდის ავლის მცდელობაზე).

გრაფიკულად საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის მიერ სამართალდამცავი ორგანოებისა და შემოსავლების სამსახურისთვის 2019-2024 წლების მანძილზე გადაგზავნილი საქმეების რაოდენობის დინამიკა შემდეგნაირად გამოიყურება:



აღსანიშნავია, რომ „ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით, საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახური უფლებამოსილია ფულის გათეთრების, ტერორიზმის დაფინანსების ან სხვა დანაშაულის თაობაზე დასაბუთებული ვარაუდის გაჩენისას, მიუხედავად გარიგების თანხის ოდენობისა, ანგარიშვალდებულ პირს წერილობით მისცეს მითითება არაუმეტეს 72 საათის განმავლობაში შესაბამისი გარიგების, აგრეთვე ამ გარიგებასთან ან/და ამ გარიგების მონაწილე პირთან დაკავშირებული სხვა გარიგების მომზადების, დადების ან შესრულების შეჩერების შესახებ. 2024 წელს გარიგების აღსრულების შეჩერების უფლებამოსილება სამსახურის მიერ 2-ჯერ იქნა გამოყენებული. აღნიშნული უფლებამოსილების გამოყენების სტატისტიკა შემდეგნაირად გამოიყურება:



ტიპოლოგია

საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის მიერ მიღებული ანგარიშგებების, ანგარიშვალდებული პირებისგან გამოთხოვილი დამატებითი ინფორმაციის, უცხოელი კოლეგებისგან მიღებული და ღია წყაროებში მოძიებული ინფორმაციის ანალიზმა აჩვენა, რომ ისევე, როგორც წინა წლებში, 2024 წლის მანძილზე სამსახურის მიერ გამოვლენილი შემთხვევების მნიშვნელოვანი წილი მოდიოდა სხვადასხვა სახის თაღლითობაზე (საიდენტიფიკაციო დოკუმენტების გაყალბება, მოპარული პლასტიკური ბარათების მონაცემების არაავტორიზებული გამოყენება, ე.წ. "Romance-scam", ე.წ. "Identity theft", ე.წ. „Merchant-scam" და ა.შ.). დანაშაულებრივი აქტივების გადაადგილებისთვის გამოიყენებოდა როგორც ტრადიციული გზები, საბანკო ანგარიშები და ანგარიშებიდან თანხის განაღდება, ასევე, ელექტრონული საფულეები, რომელთა საშუალებითაც ფულის კვალის დასაფარად ხორციელდებოდა ტრანზაქციები კრიპტოვალუტით.

2024 წელს ასევე გვხვდებოდა ქოლ-ცენტრების მიერ განხორციელებული ტრანზაქციები. მსგავსი კომპანიები იქმნება საზღვარგარეთ მყოფ მოწყვლად მომხმარებლებთან დასაკავშირებლად. მათ სთავაზობენ და არწმუნებენ, შეიძინონ სხვადასხვა პროდუქტი, განახორციელონ ინვესტიცია, გააკეთონ ფსონები ვალუტების (კრიპტოვალუტების) კურსებზე და ბინარულ ოპციონებზე და ა.შ. ბუნებრივია, თაღლითური ქოლ-ცენტრის მსხვერპლი ან ვერ იღებს წინასწარ შეთანხმებულ მომსახურებას ან კარგავს იმ თანხას, რომლითაც ე.წ. ინვესტიცია განახორციელა.

საანგარიშო პერიოდში, გაგრძელდა გარკვეული პირების მიერ მომხმარებლისათვის სოციალური ქსელებით გზავნილების გაგზავნისა და რეკლამის განთავსების სახით სერვისებისა და „ინვესტიციების" შეთავაზება. განსაკუთრებით თვალშისაცემია ე.წ. ფიშინგის მომრავლებული შემთხვევები. ყალბი ვებ-გვერდებისა და სოციალური ქსელების გამოყენებით მომხმარებელთა კონფიდენციალური საბანკო მონაცემების დაუფლებამ 2024 წ. მზარდი ტენდენცია აჩვენა. სარგებლობენ რა მსხვერპლის გაუთვითცნობიერებულობით, დამნაშავეები ხიბლავენ მათ „მომგებიანი ინვესტიციებით" (როდესაც, ჩადებული ფულის ვითომდა „ამონაგები" რამდენჯერმე აჭარბებს საბაზრო მნიშვნელობას), „საინტერესო სამუშაოთი" და ა.შ. მსხვერპლი მათ თავად აძლევს საკუთარ ანგარიშებზე წვდომას, რის შემდეგაც ხორციელდება ფულის გადარიცხვა მესამე პირებთან. ვფიქრობთ, ამ ტიპის დანაშაულის ჩადენის ტენდენცია კვლავ გაგრძელდება (აქვე აღსანიშნავია, რომ მსგავს საქმეებში 2024 წელს საკმაოდ გავრცელებული იყო რუსულენოვანი პირების შესაძლო მონაწილეობა).

საანგარიშო პერიოდში თვალშისაცემად მოიმატა იურიდიული პირის მფლობელი ფიზიკური პირის საბანკო ანგარიშებზე მისი ფირმის საქმიანობასთან დაკავშირებული ოპერაციების განხორციელების შემთხვევებმა. აღნიშნული ძირითადად, გადასახადებისგან თავის არიდების მცდელობებზე მიუთითებს.

რუსეთის მიერ უკრაინაზე თავდასხმის შემდგომ რუსეთსა და ბელარუსზე დაწესებული სანქციების თავიდან არიდების მცდელობები გაგრძელდა 2024 წელსაც.

ტიპოლოგია ძირითადად შემდეგია - საქართველოში დაფუძნებული იურიდიული პირის ანგარიშზე უცხოეთიდან ირიცხება თანხა ყიდვა/გაყიდვის ხელშეკრულების საფუძველზე. ქართული კომპანია ფიგურირებს გამსხვისებლად, ხოლო უცხოური - მყიდველად. კონტრაქტის საგანია სხვადასხვა პროდუქტი, რომელიც სანქციების შედეგად მყიდველის ქვეყანაში აღარ შედის და დეფიციტად იქცა. ქართული კომპანია, თანხის ანგარიშზე ჩარიცხვის შემდეგ, ცდილობს გააკეთოს გადარიცხვა უცხოელ შესაბამის მწარმოებელთან. ბუნებრივია, ამ ოპერაციის ჩატარებისათვის გარკვეული გასამრჯელოს ფასად. მსგავსი ტიპოლოგიის ტრანზაქციების აღმოჩენისთანავე ანგარიშვალდებული პირები წყვეტენ საქმიან ურთიერთობას თავიანთ კლიენტებთან.

ადგილობრივი და საერთაშორისო თანამშრომლობა

„ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების, აგრეთვე მასობრივი განადგურების იარაღის გავრცელების დაფინანსების პრევენციის, გამოვლენისა და აღკვეთის ხელშეწყობის მიზნით მუდმივმოქმედი უწყებათაშორისი კომისიის შექმნისა და დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2022 წლის 31 მაისის N235-ე დადგენილებით შექმნილი მუდმივმოქმედი უწყებათაშორისი კომისიის მუშაობა 2024 წლის მანძილზეც გაგრძელდა. კომისიის მიზანია, ხელი შეუწყოს საქართველოს დაახლოებას ფინანსური ქმედების სპეციალური ჯგუფის საერთაშორისო სტანდარტებთან, ევროპის საბჭოს ფულის გათეთრების წინააღმდეგ მიმართულ ღონისძიებათა შემფასებელ რჩეულ ექსპერტთა კომიტეტის რეკომენდაციებისა და საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების ხელშეკრულების ფარგლებში ფინანსური სისტემის ფულის გათეთრების ან ტერორიზმის დაფინანსების მიზნით გამოყენების თავიდან აცილების შესახებ, ევროდირექტივასთან, აგრეთვე, უზრუნველყოს MONEYVAL-ის რეკომენდაციების შესრულება.

კომისიის მუშაობას თავმჯდომარეობს საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის უფროსი, ხოლო კომისიის სამდივნო შედგება ფინანსური მონიტორინგის სამსახურის თანამშრომლებისაგან. კომისია დაკომპლექტებულია ყველა რელევანტური უწყებით. კომისიის საქმიანობის შედეგად, საქართველოს მთავრობის 2024 წლის 4 ივნისის N813 განკარგულებით დამტკიცდა საქართველოში ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების რისკების შეფასების ეროვნული ანგარიშის დამატება, რაც საფუძვლად დაედო MONEYVAL-ის კომიტეტის მიერ პირველ რეკომენდაციაზე რეიტინგის აწევას.

რისკების შეფასების ეროვნული დოკუმენტი ეყრდნობა ფინანსურ ქმედებათა სპეციალური ჯგუფის (FATF) სტანდარტებს და სხვა ქვეყნების გამოცდილებებს. დოკუმენტის მიზანია კომპეტენტურ ორგანოებს და კერძო სექტორის წარმომადგენლებს ცნობიერება აუმაღლოს საქართველოში არსებული ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების რისკების თაობაზე, რაც თავის მხრივ უწყებებს და კერძო სექტორს დაეხმარება რისკების მართვასა და რესურსების ეფექტურ განაწილებაში.

ევროპის საბჭოს ფულის გათეთრების წინააღმდეგ მიმართულ ღონისძიებათა შემფასებელ რჩეულ ექსპერტთა (MONEYVAL) კომიტეტის პლენარული სხდომების მუშაობაში ფინანსური მონიტორინგის სამსახური აქტიურად იყო ჩართული.


2024 წლის დეკემბრის თვეში კომიტეტმა საქართველოსთან მიმართებით ორი ანგარიში დაამტკიცა.

გაძლიერებული შემდგომი შეფასების მესამე ანგარიშის (3rd Enhanced Follow-Up Report of Georgia) შედეგებით, საქართველოს აეწია რეიტინგი პირველ და მე-15 რეკომენდაციებზე.

გარდა ამისა, კომიტეტმა იმსჯელა საქართველოს Voluntary Tax Compliance (VTC) პროგრამასთან შესაბამისობის თაობაზე. საქართველოს კანონში „საქართველოს საგადასახადო კოდექსში“ შეტანილი ცვლილებები (ე.წ. “ოფშორების კანონი”) განხილულ იქნა ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების რისკების ჭრილში. მანივალის კომიტეტმა საქართველოს ანგარიში მიიღო და დადებითი შეფასება გამოსცა. კერძოდ, დაადასტურა, რომ ზემოაღნიშნული კანონი შესაბამისია საერთაშორისო სტანდარტებთან.

2024 წელს საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის წარმომადგენლები მონაწილეობდნენ აგრეთვე „დანაშაულებრივი გზით მიღებული შემოსავლების გათეთრების, მოძიების, ამოღების და კონფისკაციის და ტერორიზმის დაფინანსების შესახებ“ ევროპის საბჭოს კონვენციის (C198-COP) ხელმომწერ მხარეთა კონფერენციის მუშაობაში.

საანგარიშო წლის მანძილზე საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურმა განაგრძო ორმხრივი თანამშრომლობა უცხოელ კოლეგებთან. 2024 წელს სხვადასხვა ქვეყნის ფინანსური მონიტორინგის სამსახურებიდან მიღებულ იქნა 76 შეკითხვა, შესაბამისი პასუხი გაეცა 71 მათგანს. თავის მხრივ, საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის მიერ უცხოელ კოლეგებთან გაგზავნილ იქნა 20 შეკითხვა, აქედან პასუხი მიღებული იქნა 12 მათგანზე. საზღვარგარეთის ქვეყნების შესაბამის ორგანიზაციებს საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის მიერ 2024 წელს გაეგზავნათ ინფორმაცია ფულის გათეთრების 5 შესაძლო შემთხვევაზე, ხოლო უცხოელი კოლეგებისგან მიღებულ იქნა შეტყობინება 31 შესაძლო ანალოგიური ფაქტის თაობაზე.



2024 წელს საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურმა განაგრძო ინტენსიური თანამშრომლობა საზედამხედველო ორგანოებთან. ანგარიშვალდებული პირების შემოწმების მომზადებასა და ინსპექტირების შედეგებთან დაკავშირებით საზედამხედველო ორგანოებთან ხორციელდება ინფორმაციის სისტემატიური ურთიერთგაცვლა ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების პრევენციის სფეროში მოქმედი საკანონმდებლო ბაზის მოთხოვნების შესრულების მდგომარეობის შესახებ.

ნორმატიულ-სამართლებრივი ბაზა

2020 წლის მანივალის კომიტეტის მიერ საქართველოს შეფასების ეროვნული ანგარიშის გამოქვეყნების შედეგად, ქვეყანა იმყოფება გაძლიერებული შემდგომი შეფასების პროცედურაში, რაც გულისხმობს შეფასების ანგარიშის გამოქვეყნებიდან 2 წლის შემდგომ, ყოველწლიურად, რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის ჩაბარებას და შესაბამისი რეკომენდაციებზე რეიტინგის აწევის მოთხოვნის დაყენებას ევროპის საბჭოს წინაშე. 2024 წლის განმავლობაში, საქართველო იმყოფებოდა რიგით მესამე გაძლიერებული შემდგომი შეფასების პროცედურაში.

პროცედურის ეფექტურად წარსამართად, საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურმა, როგორც მუდმივმოქმედი უწყებათაშორისი კომისიის სამდივნომ შეიმუშავა რისკების შეფასების ეროვნული დოკუმენტის დამატება. აგრეთვე წლის განმავლობაში მნიშვნელოვანი ცვლილება განხორციელდა „ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონში.

2024 წლის 31 მაისის ცვლილებებით, „ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონი მეტად

დაუახლოვდა საერთაშორისო სტანდარტებს და გაითვალისწინა მანივალის რეკომენდაციები. შედეგად, დაზუსტდა მაღალი რისკის იურისდიქციებთან დაკავშირებული დანაწესები და პრევენციული ღონისძიებების განხორციელების დროს ანგარიშვალდებული პირის მიერ განსახორციელებელი რიგი ღონისძიებები.

2024 წელს გაგრძელდა მუშაობა ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების პრევენციის მარეგულირებელ ნორმატიულ-სამართლებრივ ბაზაზე, მისი შემდგომი სრულყოფისა და სამართლებრივი ჩარჩოს გაუმჯობესების მიმართულებით.

ტრენინგები და სემინარები

2024 წელს გაგრძელდა ცნობადობის ამაღლების მიზნით სხვადასხვა სემინარებსა და ვორკშოპებში მონაწილეობის მიღება.

საანგარიშო წლის მანძილზე სამსახურის თანამშრომლებმა მონაწილეობა მიიღეს სხვადასხვა საერთაშორისო ტრენინგსა თუ სემინარში, აგრეთვე, დაესწრნენ საერთაშორისო ორგანიზაციების ინიციატივით გამართულ შესაბამის შეხვედრებს. კერძოდ, 2024 წელს სამსახურის თანამშრომლები მონაწილეობდნენ:

- 2024 წლის 18 - 24 თებერვალი ქ. რიგა, ეუთოს მიერ ორგანიზებული სასწავლო ვიზიტი „ეფექტური მართვა და კონტროლი ვირტუალური აქტივების რეგულირება“;
- 2024 წლის 10 - 14 მარტი, ქ. სტრასბურგი, ევროპის საბჭოსა და ეგმონტის ჯგუფის ერთობლივი კურსი „ტრენინგი სტრატეგიული ანალიზის ტრენერებისთვის“;
- 2024 წლის 19 - 22 მარტი, ქ. ვარშავა, ევროპის საბჭოს მიერ მოწყობილი კონფერენცია „ფინანსური დაზვერვის სამსახურების სტრატეგიული ანალიზის ფუნქციის გაძლიერება - გამოცდილებები, საჭიროებები და გამოწვევები“;
- 2024 წლის 18 - 23 მაისი, ქ. სტამბოლი, ფინანსური მონიტორინგის სამსახურის სრულყოფისთვის და ლიდერობისთვის ეგმონტის ცენტრის (ECOFEL) მიერ ორგანიზებული სემინარი „ფინანსური გამოძიების მეთოდები“;
- 2024 წლის 11 – 15 აგვისტო, ქ. ვარშავა, ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციისა და გაეროს ნარკოტიკებისა და დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ბიუროს მიერ მოწყობილი ტრენინგი „ბლოქჩეინზე კვალის დამალვის მეთოდების გამოძიება“;
- 2024 წლის 15 - 20 სექტემბერი, ქ. ვენა, გაეროს ნარკოტიკებისა და დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ოფისის (UNODC) მიერ ორგანიზებული ტრენინგი;
- 2024 წლის 16 - 21 ოქტომბერი, ქ. სტრასბურგი, დანაშაულებრივი საქმიანობის შედეგად მოპოვებული შემოსავლების გათეთრების, მოძიების, ამოღების და

კონფისკაციის და ტერორიზმის დაფინანსების შესახებ ევროპის საბჭოს კონვენციის მხარეთა კონფერენციის (C198-COP) მე-16 შეხვედრა;

... 2024 წლის 24 - 27 ნოემბერი, ქ. კიშინეუ, ევროპის საბჭოს მიერ მოწყობილი ვორქშოპი „საჯარო-კერძო პარტნიორობის ინიციატივების შექმნა, გამოყენება და სარგებელი ფინანსური დანაშაულის იდენტიფიცირების, პრევენციის და ხელშეშლის მიზნებისათვის“.